ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2021 წლის 17 დეკემბერი

ქ. ახმეტა

,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1
„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 28 დეკემბრის №32 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 270070000.35.162.016419) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის პირველი იანვრიდან.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **იოსები ქარუმაშვილი**

„დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირება და თანამდებობრივი სარგოები

№	საშტატო ერთეულის დასახელება	რანგი	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1	აპარატის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1	2530
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმისწარმოების და საკადრო საკითხებში)	3	1	1210
3	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმისწარმოების საკითხებში)	3	1	1100

4	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში)	3	1	1100
5	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში)	3	1	1100
6	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)	3	1	1100
7	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	1	1100